საქართველოს კანონი

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 13.08.2018, სარეგისტრაციო კოდი: 330090000.05.001.019104) 141-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 16^1 ნაწილი:

„16^1. იმ ქალაქთმშენებლობით გეგმაში, რომელიც დამტკიცებულია კონცეფციის გარეშე, ცვლილების შეტანასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება 2029 წლის 3 ივნისამდე შესაძლებელია განხორციელდეს აღნიშნულ გეგმაში შესატანი ცვლილების პროექტის განხილვითა და დამტკიცებით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

16 ნოემბერი 2022 წ.

N2032-IXმს-Xმპ